

ა ვ ლ ა ბ რ ი ს ფ ო ნ დ ი
Stiftung Awlabari

ქეთევან წამებულის სახ. მოედნის მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებათა ანალიზი

თბილისი 2005

ა ვ ლ ა ბ რ ი ს ფ ო ნ დ ი
Stiftung Awlabari

ქეთევან წამებულის სახ. მოედნის მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურულ თავისებურებათა ანალიზი

თბილისი 2005

კვლევა შესრულებულია ----------

---------- წერილის საფუძველზე

შემსრულებლები: ხელოვნებათმცოდნე მ. შავიშვილი

არქიტექტორი ა .პროზოროვა


ავლაბრის ფონდის თანადირექტორები: ვლ. ვარდოსანიძე

ა ჩხეიძე



თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი ავლაბარი მტკვრის მარცხენა სანაპიროს ისტორიულ და მხატვრულ-არქიტექტურულ დომინანტს წარმოადგენს. ავლაბარი ჩვენამდე ძირითადად, XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული სახით არის მოღწეული, თვით სახელწოდება კი პირველად XIVს-ში მოიხსენიება.

ავლაბარი ჩრდილოეთიდან ჩუღურეთის ხევით და სოფელ ჩუღურეთით შემოისაზღვრებოდა, აღმოსავლეთიდან – მახათას მთით, სამგორის ველით, სამხრეთიდან – დარსიჭალის და ღომელაურის ბაღებით, დასავლეთიდან კი ისნით (მეტეხი), მტკვრით. XVIII ს-ის 70-იან წწ-ებში მეფე ერეკლე II-ის მიერ ძველი საფორტიფიკაციო სისტემების აღდგენის პროცესში ავლაბრის გალავანიც იქნა ამოყვანილი. გალავანს შიგნით მოქცეული ავლაბრის ნაწილი იყო შიდა ავლაბარი, მის გარეთ დარჩენილი შემოუზღუდავი დასახლება კი გარე ავლაბარს წარმოადგენდა. ამავე დროიდან, ავლაბარი სადედოფლო მამული იყო: შიდა ავლაბარში დარეჯან დედოფალმა ააშენა თავისი სასახლე – საჩინო და კარის ეკლესია – დღევანდელი მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია /ყოფილი წმ. ირაკლისა და დარიას ეკლესია/.



შიდა ავლაბრის საერთო ხედი, ფოტო 1880-იანი წწ-ებისა, ფრაგმენტი

ავლაბრის გალავანში იყო ორი კარი – აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, პირველს ავლაბრის კარი ეწოდა მეორეს – მცირე კარი. ავლაბრის კარიდან იწყებოდა კახეთის გზა /დღევანდელი ქეთევან წამებულის გამზირი/. შიდა

ავლაბარს თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურა ჰქონდა – ბაზარი, მოედანი, სავაჭრო და სახელოსნო დუქნები; ჰყავდა თავისი ხუროთმოძღვარი,

მამასახლისი, ყარაული, მებაჟე, და ა.შ. უბანი ქალაქს უკავშირდებოდა ე.წ. ვირის ხიდით. ავლაბარში მრავლად იყო როგორც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები – მეტეხის ღვთისმშობლის შობის, წმინდა მარინეს, წმინდა ირაკლისა და დარიასი, მიხეილ მთავარანგელოზის, ასევე სომხური – წმინდა მინასის, ეჩმიაძინის, კარმირავეტარანი. ქალაქს ავლაბარი ადმინისტრაციულად 1802 წელს შეუერთდა.

ავლაბრის კავშირი ქალაქის ცენტრთან განხორციელდა XIX საუკუნის I ნახევარში ღვინის აღმართისა და ორი ხიდის მეშვეობით. საუკუნის II ნახევარში მოეწყო ორი ახალი აღმართი, რომლებითაც შესაძლებელი გახდა კავშირი ავლაბრის ზედა მოედანთან. ერთი – ციციანოვის /დღევანდელი ბარათაშვილის/ აღმართი რიყეს მაღლა, ფლატეს ქვეშ გამავალი ბილიკის გაფართოების ხარჯზე გაკეთდა და მეორე – მოედნის ჩრდილოეთით – სურბ კარაპეტის /შემდგომში კიბალჩიჩის, ამჟამად ელენე ახვლედიანის/ სახელობის აღმართი. გარდა ამისა, მოხდა ფლატეს გამაგრება საყრდენი კედლით, რომლის ქიმზეც ერთმანეთის მიყოლებით თბილისური აივნიანი სახლები განთავსდა.

თბილისის ძველი გეგმებიდან /იხ. ილუსტრ. ტექსტის ბოლოს/ ჩანს, რომ ავლაბრის დაგეგმარების სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში - XX საუკუნის დასაწყისში დასრულებულია, და რომ მასში სრულად არის ასახული ისტორიული განვითარების მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებები, რომელთაც თითქმის უცვლელად მოაღწიეს ჩვენამდე. იმდროინდელია განაშენიანების დიდი ნაწილიც.


სახეცვლილება განიცადა ავლაბრის მოედანმა – დღევანდელმა ქეთევან წამებულის სახ. მოედანმა. იგი წარმოიქმნა XIX ს-ში, მას თავდაპირველად კახეთის, შემდეგ ავლაბრის /აქ იყო ე.წ. "ავლაბრის ბაზარი", გაუქმდა 1911წ./ და ბოლო წლებამდე შაუმიანის სახელი ერქვა. მოედანი თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, თავს უყრიდა ყველა იმ ქუჩას, რომელთა ქსელიც ფაქტობრივად მთელ უბანს მოიცავდა. როგორც ძველი გეგმებიდან ირკვევა, ამ მოედნიდან თანდათანობით სხივებად იშლებოდა ყველა ის ქუჩა, რომელიც უბნის სხვადასხვა ნაწილში აღწევდა. ქუჩათა ეს სტრუქტურა დღესაც შენარჩუნებულია.

1967 წელს 26 კომისრის სახ. მეტროსადგურის /ამჟამად ავლაბრის მეტროსადგური/ შენობის აგებამ, და შემდგომ მის უკან სრულიად უსახური 8-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის განთავსებამ, დიდად განსაზღვრა მოედნის ამჟამინდელი სახე – იგი გაფართოვდა, ახალმა შენობებმა კი დაფარეს ისტორიული განაშენიანება, პირველ რიგში, ფაღავას ქუჩა (ფაღავას ქუჩა წარმოიქმნა XIX ს-ში, თავდაპირველად, 1924 წ-მდე, მას კონსტანტინეს, შემდეგ კი ლენის ქუჩა ერქვა), რომელიც გაშენებულია თბილისური საცხოვრებელი სახლების საინტერესო ნიმუშებით, მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლია ფაღავას №2, სრულიად ორიგინალური არქიტექტურულ-მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ევროპიდან შემოსული ტენდენციები

ჰარმონიულად ერწყმის ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებს, არის ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებიც – საცხოვრებელი სახლი №20, საინტერესოა თავისი

არქ-გეგმარებითი სტრუქტურით ფაღავას 22/27 /იხ. სააღ. ბარათი/. ქუჩის ბოლოში, უკვე არა უშუალოდ მოედნის სიახლოვეს, რამოდენიმე სახლია რომელთა ფასადებიც XX –ის დასაწყისში მოდერნული ელემენტებით შეუმკიათ:





მოედნის აქეთ-იქით სიღრმეში, მახათას მთის მიმართულებით, ვითარდება ირბახისა და მესხიშვილის ქუჩები, ჩრდილოეთისკენ დუშეთის ქუჩით გარე ავლაბარში გავდივართ, სამხრეთისკენ კი, ქეთევან წამებულის გამზირი იწყება /პროსპექტი წარმოიქმნა XIX ს-ში. 1936წ-მდე კახეთის ქუჩა ერქვა, შემდეგ, XX საუკუნის ბოლომდე – სტეფანე შაუმიანის/. მოედნის მოპირდაპირე მხარეს მეტეხის უბანია თავისი ძველი განაშენიანებით, ისნის ყოფილი გალავნის კარიბჭედან მეტეხის ხიდის მიმართულებით მიმავალი მეტეხის ქუჩით.

მოედნის დღევანდელი სახე, ერთი შეხედვით, თითქოს მხოლოდ საბჭოური ეპოქის არქიტექტურით განისაზღვრება, პირველ რიგში, ამგვარ შთაბეჭდილებას იწვევს 8-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, მეტროსადგურის შენობა, სომხური დრამატული თეატრის ნაგებობა /იხ. სააღ. ბარათი/ და თვითონ მოედნის სივრცითი მოწყობის ერთგვარი არაორგანიზებულობა, რაც გამოიხატება ჩრდილოეთით განთავსებული ეჩმიაძინის ტაძრის წინამდებარე სკვერის გარკვეულ იზოლირებულობაში, იგი არ მონაწილეობს მოედნის ანსამბლში; არ არის მორგებული მოედნის სივრცეს არც თეატრის შენობა – მისი გვერდითი ფასადი, რომელიც სწორედ მოედნისკენ გამოდის, სრულიად უსახურია, თუმცა მთავარი ფასადიც არ გამოირჩევა მაღალხატვრულობით, მაგრამ გვერდითი არც კი ითვალისწინებს მოედნის არსებობას, აგრეთვე პასიურია საერთო არქიტექტურულ-გეგმარებითი კომპოზიცის თვალსაზრისით მცირე ზომის უფუნქციო სკვერი მეტროსადგურსა და თეატრს შორის.

ის რომ საცხოვრებელი 8-სართულიანი კორპუსის მასივი კეტავს ისტორიული განაშენიანების ხედს, ალბათ საბჭოთა პერიოდში სოციალური პრობლემების მოგვარებასთან ერთად გამოიწვია "ძველი მოუვლელი სახლების" დაფარვის სურვილმა. მოედნის ახალი ორგანიზების დროს ერთ-ერთი საუკეთესო

გადაწყვეტა იქნებოდა ამ სახლის დემონტაჟი და ფაღავას ქუჩის განაშენიანების ფასადის რეაბილიტაცია.

რაც შეეხება მოედნის დასავლეთ ნაწილს, იგი იფარგლება ქეთევან წამებულის გამზირის დასაწყისში მდებარე სახლებით – №1 და №3 მოზრდილი შენობებით მოდერნული ელემენტებით, აგებული XX საუკუნის დასაწყისში და რომლებიც შეიძლება მომავალი მოედნის სივრცითი მოწყობის დროს, ცენტრალურ



ქეთევან წამებულის გამზ. №1




ქეთევან წამებულის გამზ. №3


ნაგებობებად იქცეს. ამასთან, აქცენტირებული იქნება მეტეხის ქუჩა, საიდანაც ხდება შესვლა მეტეხის უბანში, ანუ მოედანი უნდა იქნას მოწყობილი არსებული მოზრდილი შენობების ცენტრში – ეჩმიაძინის ტაძარი, ქეთევან წამებულის №1 და №3 შენობები და მათ გვერდით, გარკვეულწილად, თეატრი /მოწესრიგებული გვერდითი ფასადით/ – ამ შენობათა გარემოცვაში უნდა განიხილებოდეს მოედანი, ეს შენობები უნდა შემოზღუდავდეს მის სივრცეს.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოედანი ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრებშია მოქცეული, რაც მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ დამცავ რეჟიმს გულისხმობს. გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე ძეგლად აღნუსხულ შენობათა საკმაოდ მაღალი კონცენტრაციაა, რომელთა უმეტესობა მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია და სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს. ეს შენობებია შემდეგ მისამართებზე განლაგებული საცხოვრებელი სახლები: ქეთევან წამებულის გამზ. №7 და №9, ფაღავას №2, არმაზის 27/12, აგრეთვე, ეჩმიაძინის ტაძარი – არმაზის №3 /იხ. დანართი: მოედნის მიმდებარედ განთავსებულ უძრავ ძეგლთა 5 სააღრიცხვო ბარათი და გარკვეული არქ-მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო ნაგებობათა 3 სააღრიცხვო ბარათი/.


<u>ავლაბრის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული გეგმები</u>




თბილისის გეგმა, 1800 წელი, ფრაგმენტი /102-კახეთის გზა, 56-ავლაბრის კარი, 7-საჩინო/




თბილისის გეგმა, 1844 წელი, ფრაგმენტი




თბილისის გეგმა, 1867 წელი, ფრაგმენტი




თბილისის გეგმა, 1884 წელი, ფრაგმენტი



თბილისის გეგმა, 1907 წელი, ფრაგმენტი




თბილისის გეგმა, 1913 წელი, ფრაგმენტი



თბილისის გეგმა, 1924 წელი, ფრაგმენტი

საქართველოს კულტურის სამინისტრო
საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N183



1. სახელწოდება

არმაზის 3, წმ. "ეჩმიაძინის" ტაძარი

2. მდებარეობა/მისამართი

2.1 ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო	საქართველო
რაიონი	
ქალაქი	თბილისი
ადმინისტრაციული რაიონი	ისანი-სამგორი
უბნის ისტორიული სახელწოდება	ავლაბარი
ქუჩა (ქუჩები)	არმაზი
შენობის N	3
სოფელი	
საფოსტო N	0103
2.2 გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახლწოდება	
ისტორიული დასახელების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ძეგლის სახეობა

არქიტექტურული	საკულტო
არქეოლოგიური	
ისტორიული	

ქალაქთმშენებლობის, საბაღე საპარკო და ლანდშაფტური	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. ძეგლის სტატუსი

1. ძეგლის სტატუსი	თავდაპირველი	არქიტექტურული ძეგლი
	ახალი	
2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ახალი	
3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ახალი	
4. დოკუმენტის N	თავდაპირველი	
	ახალი	
5. ძეგლის კატეგორია	თავდაპირველი	რესპუბლიკური მნიშვნელობის
	ახალი	ეროვნული მნიშვნელობის
6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1986 წ. 14 ნოემბერი
	ახალი	
7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	საქ. სსრ მინისტრთა საბჭო
	ახალი	
8. დოკუმენტის N	თავდაპირველი	დადგ. N706
	ახალი	
9. რეესტრის N		
10. რეესტრში შეტანის თარიღი		

5. თარიღი

XIXს. დასაწყისი.

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური	ეკლესია	ეკლესია
2. სათავდაცვო		
3. საერო		

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
და სხვა	საქართველოში სომხური ეპარქიის წარმომადგენლობა

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

აგურის ჯვარგუმბათოვანი ტიპის სომხური ეკლესია. აქვს სათავსი იატაკის ქვეშ.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ცუდი

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა და ჩასატარებელი ღონისძიებები

დაზიანებულია აბსიდის გუმბათოვანი გადახურვა. საკურთხევლის მიმდებარე ჩრდილოეთ და სამხრეთის სარკმლებში ღრმა გამჭოლი ბზარები.

ჩასატარებელია გადაუდებელი სამუშაოები

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრა
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4. მოსალოდნელი საშიშროება

აფსიდის გარღვევა

10. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი	
გრაფიკული მასალა	დოკუმენტური მასალა და ნახაზები ინახება სომხურ ეპარქიაში.
ფოტოები	ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადი
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებები ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

დაკავშირებულ ნაგებობათა პასპორტებზე	
უძრავ ძეგლში დაცულ მოძრავ ძეგლთა პასპორტებზე	
გარემოს პასპორტებზე	
სხვა პასპორტებზე	

12. დამატებითი ინფორმაცია

1985 წ. ძეგლს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, 1990 და 1998 წ. ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები.

13. ბარათის შემდგენელი

ბაკურ ჯმუხაძე, არქიტექტორი, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

14. სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

11.05.2003

საქართველოს კულტურის სამინისტრო
საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N5



1. სახელწოდება

ფაღავას 2, საცხოვრებელი სახლი

2. მდებარეობა/მისამართი

2.1 ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო	საქართველო
რაიონი	
ქალაქი	თბილისი
ადმინისტრაციული რაიონი	ისანი-სამგორი
უბნის ისტორიული სახელწოდება	ავლაბარი
ქუჩა (ქუჩები)	ირაკლი ფაღავა, ჰამლეტ გონაშვილი
შენობის N	2, 1
სოფელი	
საფოსტო N	01
2.2 გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახლწოდება	
ისტორიული დასახელების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ძეგლის სახეობა

არქიტექტურული	სამოქალაქო
არქეოლოგიური	
ისტორიული	
ქალაქთმშენებლობის, საბაღე საპარკო და ლანდშაფტური	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. ძეგლის სტატუსი

1. ძეგლის სტატუსი	თავდაპირველი	სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლი
	ახალი	
2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ახალი	
3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ახალი	
4. დოკუმენტის N	თავდაპირველი	
	ახალი	
5. ძეგლის კატეგორია	თავდაპირველი	ადგილობრივი მნიშვნელობის
	ახალი	
6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1986 წ., 14 ნოემბერი
	ახალი	
7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	საქ. სსრ მინისტრთა საბჭო
	ახალი	
8. დოკუმენტის N	თავდაპირველი	დადგ. N706
	ახალი	
9. რეესტრის N		
10. რეესტრში შეტანის თარიღი		

5. თარიღი

XIXს. დასასრული.

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო	საცხოვრებელი	საცხოვრებელი/სავაჭრო

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	9 ოჯახი
და სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

გეგმით რუსული ასო _ გ-ს მოხაზულობის, ძველი აგურით ნაშენი მაღალი ერთსართულიანი სახლი მშვენივრადაა მორგებული ორი ქუჩის კუთხეს. შიგნით მოქცეულ ეზოს აგურის თანადროული კედელი ზღუდავს. შენობის მთავარ ფასადს ირ. ფაღავას ქუჩისკენ მეზონინი-აივანი ასრულებს. ამავე მხარესაა სადარბაზო და ეზოს ჭიშკარი.

მეორე ფასადი გრძელია და კედლის მთელი ზედაპირი თანაბარი ინტერვალით განლაგებული ფანჯრებითაა დანაწევრებული. ფანჯრებს შორის არეები ორივე ფასადზე პილასტრებითაა დაყოფილი. სწორკუთხა მოხაზულობის ფანჯრებს ირგვლივ საპირე უვლის, მოცილებით თაროა, რომლის ბოლოებში საპირეებამდე ჩამოსული დეკორატიული საყრდენებია. ფასადებს პილასტრების კორინთული კაპიტელების ზემოთ, კარნიზის დონეზე და ფანჯრების ძირში ჰორიზონტალური სარტყლები შემოუყვება. მაღალ პარაპეტს მრგვალი ღიობებით გაფორმებული ფრონტონიანი ამოწეული ნაწილები აქვს. ფანჯრებს ქვემოთ, პილასტრების ზედაპირზე და პარაპეტზე ჩაწეული სიბრტყეებია.

ფასადების აღნიშნული დეკორატიული ელემენტები (პილასტრები, საპირეები, თაროები, სარტყლები და სხვ.) თეთრი შეფერილობითაც არის გამოყოფილი ვარდისფერ ფონზე.

ეზოს მხარეს შენობის მთელ სართულს აივანი გასდევს, რომელიც შემდგომი გადაკეთებით თავსა და ბოლოში დახურულია. აივნის "დორიულ" სვეტებს შორის მოაჯირები და თაღოვანი არე დახვეწილი ჭვირული დეკორითაა შევსებული. თაღების შუაში

აჟურული სამკუთხა დეტალებია. ზემოთ "ანტაბლემენტიც" ხის აჟურული ფიგურებით, კბილანებით და სხვა ელემენტებითაა გამდიდრებული.
ნახევრადსარდაფის ქვედა სართულში სათავსოები ღია დერეფნის უკანაა.
სრულიად ორიგინალურია სადარბაზოს გადაწყვეტა, რომელიც შენობაზეა მიდგმული. ქუჩისკენ იგი აგრძელებს საფასადო სიბრტყეს, ხოლო ეზოს მხარეს ნახევარწრიული გოდოლის ფორმა აქვს. გარედან "გოდოლის" ზედაპირსსუფთად დამუშავებული, თანაბარი სიგანის ფიცრების ჰორიზონტალური სარტყლები ფარავს.
საცხოვრებელი სახლი შესანიშნავი ნიმუშია ევროპული სტილის და ადგილობრივი ტრადიციის ერთდროული გამოყენებისა. ბაროკული და კლასიცისტური ელემენტებით გაფორმებული ფასადების პარალელურად ეზოს მხარეს ტრადიციული თბილისური ხის აივანია გამოყენებული დახვეწილი დეკორით.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ცუდი

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა და ჩასატარებელი ღონისძიებები

დაზიანებულია გადახურვა, რის გამო ნალექი ალპობს შენობის ჭერს, აივნის ბოძს კიბესთან, სადარბაზოს შეფიცვრას, მეზონინი-აივნის დეტალებს; ეზოში მოუწესრიგებელია წყლის გადაყვანა, რაც აჭაობებს ნიადაგს და ანესტიანებს ნაგებობის ქვედა, ნაევარსარდაფის სართულს.

ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები/გადახურვის საფარი
ჩასატარებელია სარესტავრაციო სამუშაოები

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	2002 წ. 25 აპრილის მიწისძვრა
ადამიანის ზემოქმედება	არასწორი ექსპლუატაცია
სხვა კონკრეტული მიზეზი	დაზიანებული სახურავიდან წვიმის წყლის სისტემატური დენა აივანზე და ცალკეულ ოთახებში.

9.4. მოსალოდნელი საშიშროება

ატმოსფერული ნალექის მოშორების გარეშე შენობის ხის ნაწილები _ მეზონინი, აივნის სვეტები, სადარბაზოს შეფიცვრა, ზოგიერთ სათავსოს ჭერი _ მთლიანად დალპება და გამოიწვევს ნგრევას.

10. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი	
გრაფიკული მასალა	
ფოტოები	საერთო ხედი 2 3 4 5 7 8
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებები ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

დაკავშირებულ ნაგებობათა პასპორტებზე	
უძრავ ძეგლში დაცულ მოძრავ ძეგლთა პასპორტებზე	
გარემოს პასპორტებზე	
სხვა პასპორტებზე	

12. დამატებითი ინფორმაცია

საცხოვრებელი სახლის ეზოში, ნაგებობის მოკლე მკლავის ბოლო მონაკვეთში აივანი ამოშენებულია შემდგომი გადაკეთებისას და აბრისიდან წინ გამოწეული მოცულობაა დამატებული; სწორედ ეს ნაწილია მეტად დაზიანებული მიწისძვრისგან. მოსახლის ინფორმაციით, XIXს-ის პირველ ნახევარში შენობის ნახევარსარდაფში მოწყობილი ყოფილა მარანი, სადაც მაქსიმ გორკი და სხვა მწერლები დადიოდნენ.

13. ბარათის შემდგენელი

მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე-კონსულტანტი, უძრავ ძეგლთა სამმართველო, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

14. სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

04.04.2003

საქართველოს კულტურის სამინისტრო
საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N184



1. სახელწოდება

არმაზის 27/არარატის 12, საცხოვრებელი სახლი

2. მდებარეობა/მისამართი

2.1 ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო	საქართველო
რაიონი	
ქალაქი	თბილისი
ადმინისტრაციული რაიონი	ისანი-სამგორი
უბნის ისტორიული სახელწოდება	ავლაბარი
ქუჩა (ქუჩები)	არმაზი, არარატი
შენობის N	27, 12
სოფელი	
საფოსტო N	0103
2.2 გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახლწოდება	
ისტორიული დასახელების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ძეგლის სახეობა

არქიტექტურული	სამოქალაქო
არქეოლოგიური	
ისტორიული	
ქალაქთმშენებლობის, საბაღე საპარკო და ლანდშაფტური	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. ძეგლის სტატუსი

1. ძეგლის სტატუსი	თავდაპირველი	სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლი
	ახალი	
2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ახალი	
3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ახალი	
4. დოკუმენტის N	თავდაპირველი	
	ახალი	
5. ძეგლის კატეგორია	თავდაპირველი	ადგილობრივი მნიშვნელობის
	ახალი	
6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1988წ. 10 მარტი
	ახალი	
7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	თბილისის საქ. საბჭოს აღმასკომი
	ახალი	
8. დოკუმენტის N	თავდაპირველი	06.22.185
	ახალი	
9. რეესტრის N		
10. რეესტრში შეტანის თარიღი		

5. თარიღი

XIXს. დასასრული.

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო	საცხოვრებელი	საცხოვრებელი

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	14 ოჯახი
და სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

მაღალ ცოკოლზე მდგომი ორსართულიანი აგურის საცხოვრებელი სახლის ძირითადი ნაწილი გვერდზე მიშენებული ფლიგელით ქმნის სწორ კუთხეს, რომელშიც მოთავსებულია არარატის ქუჩიდან გალავნით გამოყოფილი შიდა ეზო. ძირითადი შენობის ქუჩის ფასადის პირველი სართული რუსტირებულია სწორი, საპირეებით გამოყვანილი სარკმლებით. II სართულის თაღოვან სარკმლებს შორის მოწყობილია ხის ღია დაკიდებული აივნები სამკბილა თაღებით. აივნის ზემოთ, არარატის ქუჩის მხრიდან მოწყობილია მეზონინი. ეზოს მხრიდან შენობას მთელ პერიმეტრზე შემოყოლებული აქვს ხის აივანი ფიცრული მოაჯირით და მხატვრული ელემენტებით. ოთახების განლაგება ძირითადათ ანფილადურია, ზოგიერთ ოთახში შემორჩენილია კედლის მხატვრობა და ბუხრის ფრაგმენტები. სარდაფები თაღოვანი გადახურვით არის და გამოყენებულია ხალიჩების საწარმოებლად. შენობა წარმოადგენს გავრცელებული ქალაქური ტიპის საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს უბნის განაშენიანებაში.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ძალიან ცუდი

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა და ჩასატარებელი ღონისძიებები

შენობა მწვავე ავარიულ მდგომარეობაშია. გახსნილია არმაზის ქუჩაზე გამავალი ფასადისა და ფლიგელის შემაერთებელი კედელი. საძირკველი განიცდის ჯდენას. დარღვეულია კავშირი საყრდენ კედლებს შორის. დაზიანებულია ქუჩაზე გამავალი სარდაფების თაღოვანი გადახურვა. არის ბზარები მზიდ კედლებში. დანგრეულია ბუხრები. დაზიანებული სახურავიდან ჩაედინება წყალი არმაზის ქუჩისპირა ოთახებში.. საჭიროა ბარიერის მოწყობა ჩასატარებელია გადაუდებელი სამუშაოები ჩასატარებელია სარესტავრაციო სამუშაოები

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრა
ადამიანის ზემოქმედება	მოუვლელობა
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4. მოსალოდნელი საშიშროება

საყრდენი კედლის ჩამოქცევა არმაზის ქუჩის მხრიდან.

10. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი	
გრაფიკული მასალა	საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში არის შენობის ადაპტაციის პროექტი
ფოტოები	სამხრეთ-დასავლეთის ფასადი ფასადი ეზოს მხრიდან
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებები ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

დაკავშირებულ ნაგებობათა პასპორტებზე	
უძრავ ძეგლში დაცულ მოძრავ ძეგლთა პასპორტებზე	
გარემოს პასპორტებზე	
სხვა პასპორტებზე	

12. დამატებითი ინფორმაცია

შენობაზე სხვადასხვა პერიოდში მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები. უკანასკნელად, 2002 წ. ჩატარდა სახურავის სარემონტო სამუშაოები.

13. ბარათის შემდგენელი

ბაკურ ჯმუხაძე, არქიტექტორი, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

14. საალრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

22.05.2003

საქართველოს კულტურის სამინისტრო
საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N321



1. სახელწოდება

ქეთევან წამებულის გამზ. 7, საცხოვრებელი სახლი

2. მდებარეობა/მისამართი

2.1 ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო	საქართველო
რაიონი	
ქალაქი	თბილისი
ადმინისტრაციული რაიონი	ისანი-სამგორი
უბნის ისტორიული სახელწოდება	ავლაბარი
ქუჩა (ქუჩები)	ქეთევან წამებული
შენობის N	7
სოფელი	
საფოსტო N	0103
2.2 გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახლწოდება	
ისტორიული დასახელების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ძეგლის სახეობა

არქიტექტურული	სამოქალაქო
არქეოლოგიური	
ისტორიული	
ქალაქთმშენებლობის, საბაღე საპარკო და ლანდშაფტური	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. ძეგლის სტატუსი

1. ძეგლის სტატუსი	თავდაპირველი	უძრავი ძეგლი
	ახალი	
2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ახალი	
3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ახალი	
4. დოკუმენტის N	თავდაპირველი	
	ახალი	
5. ძეგლის კატეგორია	თავდაპირველი	ადგილობრივი მნიშვნელობის
	ახალი	
6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1988წ. 10 მარტი
	ახალი	
7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	თბილისის საქ. საბჭოს აღმასკომი
	ახალი	
8. დოკუმენტის N	თავდაპირველი	06.22.185
	ახალი	
9. რეესტრის N		
10. რეესტრში შეტანის თარიღი		

5. თარიღი

XIXს. დასასრული.

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო	საცხოვრებელი	საცხოვრებელი/სავაჭრო

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	5 ოჯახი
და სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

დიდი მოცულობის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი შელესილი ფასადით გამოდის ქუჩის მხარეს. ქვედა სართულის ღიობები გაფართოებულია და სახეცვლილი, რაც განაპირობა წლების მანძილზე საზოგადოებრივი და სავაჭრო დაწესებულებების განთავსებამ. II სართულზე სამი დაკიდული რკინის მოაჯირიანი აივანია. სადარბაზოს იატაკი ჭადრაკულად დალაგებული ფილებით იყო გაფორმებული. მართკუთხა გეგმის მქონე შენობას ეზოსკენ სადა ხის აივანი გასდევს, რომლის თავსა და ბოლოში მცირედ წინ გაწეული სათავსებია.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ძალიან ცუდი

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა და ჩასატარებელი ღონისძიებები

შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. სადარბაზოს იატაკი ჩანგრეულია, კედლები დახეთქილია, ეზოსკენ აივნის ბოლოებსი არსებული მოცულობები მოშორებულია, სახურავი ძლიერ დაზიანებულია, იატაკი და ჩარჩოები დეფორმირებულია. სარდაფში წყალი იქცევა მიწისძვრის დროს დაზიანებული საკანალიზაციო მილიდან.

ჩასატარებელია გადაუდებელი სამუშაოები ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	არასწორი ექსპლუატაცია
სხვა კონკრეტული მიზეზი	ხანგრძლივი მოუვლელობა

9.4. მოსალოდნელი საშიშროება

გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე განვითარდება ნაწილობრივი ნგრევა.

10. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი	
გრაფიკული მასალა	
ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებები ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

დაკავშირებულ ნაგებობათა პასპორტებზე	
უძრავ ძეგლში დაცულ მოძრავ ძეგლთა პასპორტებზე	
გარემოს პასპორტებზე	
სხვა პასპორტებზე	

12. დამატებითი ინფორმაცია

გარკვეული დროის განმავლობაში, შენობაში ფოსტა იყო განთავსებული, სარდაფში _ საქსოვი საამქრო.

13. ბარათის შემდგენელი

მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე-კონსულტანტი, უძრავ ძეგლთა სამმართველო, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

14. სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

04.01.2003

საქართველოს კულტურის სამინისტრო
საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N323



1. სახელწოდება

ქეთევან წამებულის გამზ. 9, საცხოვრებელი სახლი

2. მდებარეობა/მისამართი

2.1 ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო	საქართველო
რაიონი	
ქალაქი	თბილისი
ადმინისტრაციული რაიონი	ისანი-სამგორი
უბნის ისტორიული სახელწოდება	ავლაბარი
ქუჩა (ქუჩები)	ქეთევან წამებული
შენობის N	9
სოფელი	
საფოსტო N	0103
2.2 გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახლწოდება	
ისტორიული დასახელების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ძეგლის სახეობა

არქიტექტურული	სამოქალაქო
არქეოლოგიური	
ისტორიული	
ქალაქთმშენებლობის, საბაღე საპარკო და ლანდშაფტური	

მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. ძეგლის სტატუსი

1. ძეგლის სტატუსი	თავდაპირველი	უძრავი ძეგლი
	ახალი	
2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ახალი	
3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ახალი	
4. დოკუმენტის N	თავდაპირველი	
	ახალი	
5. ძეგლის კატეგორია	თავდაპირველი	ადგილობრივი მნიშვნელობის
	ახალი	
6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1988წ. 10 მარტი
	ახალი	
7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	თბილისის საქ. საბჭოს აღმასკომი
	ახალი	
8. დოკუმენტის N	თავდაპირველი	06.22.185
	ახალი	
9. რეესტრის N		
10. რეესტრში შეტანის თარიღი		

5. თარიღი

XIXს. დასასრული.

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო	საცხოვრებელი	საცხოვრებელი/სამრეწველო

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	2 ოჯახის საკუთრება
და სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

ნაგებობა სივრცული კომპოზიციისა და მხატვრული გადწყვეტის ინდივიდუალურობით ხასიათდება და შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა.

ძველი აგურით ნაშენ ორსართულიან შეკრულ და მაღალ კუბურ მოცულობას საფასადო მხარე შელესილი აქვს. მისი გაფორმების თავისებურებას შეადგენს ორიარუსიანი შეკიდული აივანი. II სართულზე იგი საცხოვრებელი სართულის წინაა გამართული, ხოლო ზემოთა უფრო მოკლე, მანსარდის სართულთანაა დაკავშირებული. აივნის წვრილი სვეტების დახვეწილი პროპორცია, მოაჯირების ფაქიზი ჭრა და ხის სხვადასხვა დეკორატიული ელემენტები აივნის მოჩუქურთმებული საჩრდილობელის ჩათვლით, სიმსუბუქეს სძენს ფასადს.

ეზოს მხარეს II სართულის გაყოლებით არსებული აივანი ამოშენებულია. საინტერესო გადაწყვეტა აქვს გარედან მიდგმულ ხის კიბის კონსტრუქციას, რომელსაც დიდი ფიცარნაგიანი ბაქნები უკეთდება სართულებს შორის. ეს კიბე ადის მანსარდის სართულზეც, რომელიც დამხმარე სათავსებს შეიცავდა.

მთელი შენობის ქვეშ არის თაღოვანი სარდაფი.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ცუდი

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა და ჩასატარებელი ღონისძიებები

შენობის სარდაფში სისველეა, კედლებში არის სუსტი ბზარები. სახურავი დაზიანებულია, ამის გამო, ხის ნაწილები განსაკუთრებით ზიანდება. აივნის ნაწილი ჩამოინგრა. გვერდითი კედელი განიცდის ჯდენას.

ჩასატარებელია გადაუდებელი სამუშაოები
ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები
ჩასატარებელია სარესტავრაციო სამუშაოები

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	2002 წ. 25 აპრილის მიწისძვრა
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	ხანგრძლივი მოუვლელობა, ნალექები.

9.4. მოსალოდნელი საშიშროება

შეიძლება ჩამოვარდეს აივანი.

10. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი	
გრაფიკული მასალა	
ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებები ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

დაკავშირებულ ნაგებობათა პასპორტებზე	
უძრავ ძეგლში დაცულ მოძრავ ძეგლთა პასპორტებზე	
გარემოს პასპორტებზე	
სხვა პასპორტებზე	

12. დამატებითი ინფორმაცია

მობინადრის ინფორმაციით, ადრე I სართულზე ცხოვრობდნენ ნახშირით მოვაჭრეები, II-ზე _ მეპატრონე, III-ზე _ მოსამსახურეები.
ამჟამად, შენობის I სართულზე მოწყობილია სამკერვალო ატელიე.

13. ბარათის შემდგენელი

მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე-კონსულტანტი, უძრავ ძეგლთა სამმართველო, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენ

14. სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

04.03.2004

ნაგებობის სააღრიცხვო ბარათი №



1. სახელწოდება

საცხოვრებელი სახლი, ფაღავას 22/ცისკრის 27/ ირბახის

2. მდებარეობა/მისამართი

2.1. ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო რაიონი	
ქალაქი ადმინისტრაციული რაიონი უბნის ისტორიული სახელწოდება ქუჩა (ქუჩები) შენობის №	თბილისი ისანი-სამგორი ავლაბარი ფაღავა, ცისკარი, ირბახი 22, 27
სოფელი	
საფოსტო ინდექსი	0103
2.2. გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ნაგებობის სახეობა

არქიტექტურული	1. <u>სამოქალაქო</u> 2. საკულტო 3. თავდაცვითი

4. ნაგებობის სტატუსი და კატეგორია

სარეკომენდაციო	–

5. აგების თარიღი

საუკუნე **<u>XIX</u>**	პერიოდი 1. <u>2.</u> 3.	აბს. თარიღი

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2.სათავდაცვო		
3. საერო	<u>საცხოვრებელი სახლი</u>	<u>საცხოვრებელი სახლი,</u>

		ბიბლიოთეკა

7. საკუთრება /მითითებულ იქნას მესაკუთრე/

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	შერეული მფლობელობა

8. ნაგებობის მოკლე დახასიათება

ერთსართულიანი შენობა მდებარეობს ქუჩათა გადაკვეთაზე, მისი ერთნაირი ფასადები მახვილი კუთხით იშლება ცისკრისა და ირბახის ქუჩებისკენ. ცისკრის ქ-ის მხარეს ფასადი 23 ფანჯარაა. ეს ძველი ქართული აგურით ნაგები შენობა განთავსებულია სამ ქუჩაზე – ირბახი, ფაღავა, ცისკარი. ბიბლიოთეკაში შესასვლელი არის ეზოს მხრიდან – ფაღავას ქუჩიდან. ფანჯრები არის მსუბუქადშებრტყელებულთაღოვანი ფორმის; ცისკრის ქუჩაზე მხოლოდ ფანჯრებია, ირბახის მხარეს 6 ფანჯარაა, სადარბაზო კარი და 4 ფანჯარა. ირბახი /ცისკრის კუთხე ჩამოჭრილია და სარდაფში ჩასასვლელია და ძირითად სართულზე ფანჯარა. ფასადების სახეს ძირითადად ღიობების რიტმი განსაზღვრავს. კედლები შელესილია. მათი ზედაპირი დანაწევრებულია დეკორატიული ელემენტებით – ფანჯრებს ქვეშ ოთხკუთხა ჩაღრმავებული სიბრტყეებია, ფანჯრების თავზე"საჭექი ქვებია", პილასტრები, სარტყელი, პარაპეტი. სადარბაზო კარი ირბახის მხრიდან არის ხის ორფრთიანი, მსუბუქად დეკორირებული, თაღოვანი ფორმის ფრამუგით. სადარბაზოს მარჯვნივ ფასადი ისეთივეა, მხოლოდ ახალი აგურით აგებული, ისევე, როგორც ფაღავას ქუჩის მხრიდან ზღუდე.
ეზო გადის ირბახი/ფაღავს კუთხეში. ეზოს ფასადი არის ძირითადი სართულის შუშაბანდი ხის დორიული სვეტებით და სარდაფში ჩასასვლელი.

9. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება

კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული

10. 11. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე, ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

12. დამატებითი ინფორმაცია

შენობის ერთ ნაწილში განთავსებულია ბიბლიოთეკა №2, მეორეში – საცხოვრებელი სახლი

13. ბარათის შემდგენელი

ავლაბრის ფონდი, სპეციალისტთა ჯგუფი

14. სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

2005 წელი, თებერვალი

ნაგებობის სააღრიცხვო ბარათი №





1. სახელწოდება

საცხოვრებელი სახლი, ირბახის 9

2. მდებარეობა/მისამართი

2.1. ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო რაიონი	
ქალაქი ადმინისტრაციული რაიონი უბნის ისტორიული სახელწოდება ქუჩა (ქუჩები) შენობის №	თბილისი ისანი-სამგორი ავლაბარი ირბახი 9
სოფელი	
საფოსტო ინდექსი	0103
2.2. გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ნაგებობის სახეობა

არქიტექტურული	1. <u>სამოქალაქო</u>	2. საკულტო	3. თავდაცვითი

4. ნაგებობის სტატუსი და კატეგორია

სარეკომენდაციო	–

5. აგების თარიღი

საუკუნე	პერიოდი	აბს. თარიღი
<u>XIX</u>	1. <u>2.</u> 3.	

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2.სათავდაცვო		
3. საერო	<u>საცხოვრებელი სახლი</u>	<u>საცხოვრებელი სახლი, სავაჭრო</u>

		ობიექტი

7. საკუთრება /მითითებულ იქნას მესაკუთრე/

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	კერძო საკუთრება

8. ნაგებობის მოკლე დახასიათება

ერთსართულიანი შენობა ცოკოლით, მახვილი კუთხით იშლება ირბახის და ფაღავს ქუჩებისკენ. საცხოვრებელი სახლის ფასადი ამჟამად ცემენტით არის შელესილი და სახედაკარგულია. ნაგებობა საინტერესოა არქ-გეგმარებითი სტრუქტურის თვალსაზრისით: კუთხე ჩამოჭრილია ორგან და სარდაფში ჩასასვლელია მოწყობილი. ფასადები ნახევარწრიული თაღოვანი ღიობებით არის დანაწევრებული. ხის კარი ორფრთიანი ზედა ნაწილებში ლითონის ნაჭედი ორნამენტული ცხაურებით. გვიანდელი თუნუქის შუქფრით. ეზოს ფართი ათვისებულია სავაჭრო ობიექტით. სახსურავი არის ოთხქანობა, კრამიტის.

არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, წარმოადგენს ფონურ ნაგებობას.

9. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება

კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული

10. 11. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე, ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

12. დამატებითი ინფორმაცია

შენობის ეზოში ამჟამად ჩადგმულია ერთსართულიანი უსახური ნაგებობა, სავაჭრო ობიექტი "ნიკუშა".

13. ბარათის შემდგენელი

ავლაბრის ფონდი, სპეციალისტთა ჯგუფი

14. სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

2005 წელი, თებერვალი

ნაგებობის საალრიცხვო ბარათი №



1. სახელწოდება

ქეთევან წამებულის 8, სომხური დრამატული სახელმწიფო თეატრი

2. მდებარეობა/მისამართი

2.1. ადმინისტრაციული განსაზღვრა	
სახელმწიფო რაიონი	
ქალაქი ადმინისტრაციული რაიონი უბნის ისტორიული სახელწოდება ქუჩა (ქუჩები) შენობის №	თბილისი ისანი-სამგორი ავლაბარი ქეთევან წამებული 8
სოფელი	
საფოსტო ინდექსი	0103
2.2. გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
არაადმინისტრაციული გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. ნაგებობის სახეობა

არქიტექტურული	1. სამოქალაქო 2. საკულტო 3. თავდაცვითი

4. ნაგებობის სტატუსი და კატეგორია

სარეკომენდაციო	–

5. აგების თარიღი

საუკუნე	პერიოდი 1. 2. 3.	აბს. თარიღი 1936 წელი

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2.სათავდაცვო		
3. საერო	სომხური დრამატული სახელმწიფო თეატრი	სომხური დრამატული სახელმწიფო თეატრი

7. საკუთრება /მითითებულ იქნას მესაკუთრე/

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	

8. ნაგებობის მოკლე დახასიათება

მოზრდილი ზომების ნაგებობა მდებარეობს პროსპექტის დასაწყისში, უშუალოდ ავლაბრის მოედნის მიმდებარედ. თეატრის მაღალი ორსართულიანი შენობის მთავარი ფასადი შემკულია კოლონადებიანი პორტიკით, საიდანაც მოწყობილია შესასვლელი. ფასადი, ისევე როგორც დაგეგმარება და ინტერიერების არქიტექტურა შესრულებულია კლასიკური ხერხებისა და მოტივების გამოყენებით. მთლიანობაში შენობის არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტა ტოვებს გარკვეულწილად ტლანქი, გაუმართავი არქიტექტურის შთაბეჭდილებას და სტალინური ეპოქის მეორეხარისხოვან ნიმუშს წარმოადგენს.

9. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება

კარგი, <u>საშუალო</u>, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული

10. 11. მითითება არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე, ნაგებობასთან დაკავშირებულ პასპორტებზე

12. დამატებითი ინფორმაცია

შენობის არქიტექტორია - მ. ტერმიქელოვი. თბილისში სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი ფუნქციონირებდა 1858-დან, და ერქვა პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის საქალაქო თეატრი. წარმოდგენები იმართებოდა სომხურ ენაზე მსახიობ გ. ჩიმიშკიანის ხელმძღვანელობით. 1936წელს თეატრი გადავიდა ახლანდელ შენობაში, მასში უკვე შაუმიანის სახელობის გახდა. 1993წ.-დან თეატრი პეტროს ადამიანის სახელობისაა.

13. ბარათის შემდგენელი

ავლაბრის ფონდი, სპეციალისტთა ჯგუფი

14. სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

2005 წელი, თებერვალი